craft 50+

მეწარმეობა ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში

ჯიბის გზამკვლევი 50 წელს გადაცილებული რეწვის ოსტატებისთვის

Co-funded by the European Union

GA n. 2020-1-IT02-KA227-ADU-095006

ავტორები

თამარ კიკნაძე

ნათია ტრაპაიძე

გამოშვების მომზადებას კოორდინაციას უწევდნენ Magnetar და Assoc

2022 წლის აპრილი

ევროკომისიის მიერ ამ პუბლიკაციის მომზადების მხარდაჭერა არ წარმოადგენს მისი შინაარსის მოწონებას და ის ასახავს მხოლოდ ავტორების შეხედულებებს. კომისია არ აგებს პასუხს პუბლიკაციაში მოყვანილი ინფორმაციის ნებისმიერი სახით გამოყენებაზე.

შესავალი

საქართველო

ევროპისა და აზიის გასაყარზე მდებარე საქართველო საუკუნეების განმავლობაში გამოირჩეოდა რეწვის სხვადასხვა ტრადიციებით. საქართველოს თითოეულ რეგიონს გააჩნია საკუთარი იერი, ისტორია, კულტურა, ტრადიციები, რომლებიც ქმნიან ქვეყნის ეთნოგრაფიულ მოზაიკას და განსაკუთრებულ მომხიბვლელობას ანიჭებენ. კერამიკის, ხეზე კვეთის, ქვის წყობის, ლითონდამუშავების, ტყავის დამუშავების, კალათების დაწვნის და ტექსტილის წარმოების, როგორიცაა ქსოვა, ხალიჩების ქსოვა, თელვა, ხელით წვნა, ტრადიციული ოსტატური ტექნიკა, ფერთა კომბინაციები და ორნამენტული ფორმები განსხვავდება რეგიონიდან რეგიონამდე. ტრადიციულად, თითქმის ყოველი სახლი უხვად მორთული იყო ხის კვეთილი, ქსოვილის, ხის ან კერამიკული ნივთებით. საქართველოში ყოველთვის პატივს სცემდნენ ოსტატებს, ხელოსნებს და დიზაინერებს. ჩვეულებრივ, ოსტატობა მიიჩნეოდა ტრადიციის ნაწილად და ძირითადად, ოჯახურ საქმიანობად, რომელიც ერთი თაობიდან მეორეს გადაეცემოდა. მას უფრო ნაკლებად აღიქვამდნენ კომერციულ საქმიანობად. მიუხედავად ამისა, მოცემული აღქმა ნელ ნელა იცვლებოდა და ამჟამად ოსტატობა უფრო მეტად ფასდება როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის და კულტურული ინდუსტრიის ნაწილი.

GACC-ის ცოტა ხნის წინ ჩატარებული კვლევის თანახმად, ოსტატების დაახლოებით 27%-ს შეადგენენ 44-55 წლის ასაკის ადამიანები, ხოლო დაახლოებით 26%-ს წარმოადგენდა 36-45 წლის ასაკის ჯგუფი. ხელობის მიმართ უფრო მცირე ინტერესი შეიმჩნევა 35 წელზე ნაკლები ასაკის ადამიანებში.

ზოგადად, სოფლის რაიონებში ოსტატების წილი უფრო მაღალია დიდ ქალაქებთან შედარებით, რაც გამოწვეულია ახალგაზრდების შიდა მიგრაციით. 2012 წელს სოფლის ოსტატების 58%-ის ასაკი 46 წელს აღემატებოდა ქალაქის 47,6%-იან მაჩვენებელთან შედარებით.

ოსტატობის, როგორც ბიზნესის აღიარება, წარმოდგენილია რამდენიმე ახალ კომპანიაში, რომლებიც დაარსდა 50 წლის და უფრო ასაკოვანი გამოცდილი ოსტატების მიერ, როგორიცაა სუფრების ტრადიციული მწარმოებელი *"ლურჯი სუფრა"*, *„ორკოლ სტუდია"*, *„სტუდია ფესვები"*. ისინი მოღვაწეობენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში და ყველა მათგანი მნიშვნელოვან როლს თამაშობს არა მხოლოდ მოცემული სექტორის პოლულარიზაციაში, არამედ ოსტატობის წარმატებულ ბიზნესად წარმოჩენის საქმეში. ახალგაზრდა ოსტატებისთვის მათი წარმატების ისტორიები შეიძლება იყოს სტიმულის მიმცემი.

უფროსი ასაკის ოსტატები არიან თვითგანათლებულები, მუშაობენ ერთ სექტორში ათწლეულების მანძილზე, იყენებენ ტრადიციულ მეთოდებს და თითქმის არ ცდილობენ ექსპერიმენტირებას ახალი ტექნოლოგიების ან მასალის გამოყენებით. უფროსი ასაკის ოსტატები ძირითადად იცავენ ტრადიციულ ფორმებს და ინარჩუნებენ პროდუქციას, რომელსაც წლების განმავლობაში აწარმოებენ. მათი უმეტესობა ქმნის ისეთ ტრადიციულ ნამუშევრებს, რომლებიც გაქრობის პირასაა (მაგალითად, ტრადიციული ხის *აკვანი*), მაშინ როცა უფრო ახალგაზრდა ოსტატები უფრო მეტად მიდრეკილები არიან

ექსპერიმენტირებისაკენ და ცდილობენ უფრო თანამედროვე იერის შექმნას, ტრადიციულ ნამუშევრებსა და დიზაინში თანამედროვე ელემენტების შეტანით.

უფროსი ასაკის ოსტატები შედარებით ნაკლებად იცნობენ თანამედროვე ტექნოლოგიებს, მათ შორის, ციფრულს; მათ არ აქვთ რთული იარაღები, თავიანთ ნამუშევრებს აწარმოებენ ტრადიციული ტექნიკის გამოყენებით და ნაკლებად ახდენენ თვით რეკლამირებას. უნდა აღინიშნოს, რომ კოვიდ-19-ის პანდემიამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია რეწვის სექტორზე. მას ერთნაირად დიდი ზეგავლენა ჰქონდა როგორც იურიდიულ პირებზე, ასევე ინდივიდუალურ ოსტატებზე. შემოსავლის მნიშვნელოვანი შემცირება უფრო მეტად გავრცელდა უფროსი ასაკის ოსტატებში, რომლებიც არ იცნობენ ონლაინ მარკეტინგის საშუალებებს.

1. ბიზნესის სტრუქტურა, მისი შექმნა და შენარჩუნება

საქართველოში ბიზნესის დაწყება - კომპანიის დარეგისტრირება და საბანკო ანგარიშის გახსნა არ საჭიროებს 24 საათზე მეტ ხანს. ჩვეულებრივ, რეწვის კომპანიები მოქმედებენ, როგორც შპს-ები (ე.ი. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები), თუმცა უფრო ხშირად როგორც ინდივიდუალური მეწარმეები, რომლებსაც შეუძლიათ განაცხადის შეტანა ორი სტატუსის მისაღებად შეღავათიანი საგადასახადო პირობებით: მიკრო და მცირე ბიზნესი. დეტალური აღწერა და ნაბიჯ-ნაბიჯ სახელმძღვანელო იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაარეგისტრიროთ ბიზნესი, შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე Invest in Georgia.
საინფორმაციო და კომუნიკაციის ტექნოლოგიები ჯერ კიდევ არც თუ ისე პოპულარულია ასაკოვან ოსტატებში. ზოგიერთმა მათგანმა, ოჯახის უფრო ახალგაზრდა წევრების დახმარებით, შეძლო სოციალური მედიის გვერდების გახსნა, რორიცაა ფეისბუკი ან ინსტაგრამი. კოვიდ-19 პანდემიის დასაწყისში, ონლაინ ტრენინგებზე დასწრება მათთვის საკმაოდ რთული იყო. საინფორმაციო ტექნოლოგიების უკეთ ინტეგრაცია მათ ყოველდღიურ სამუშაოსა და ცხოვრებაში დამატებით ზომებს და ძალისხმევას საჭიროებს.
რეწვის საექსპორტო საშუალებების განვითარების თვალსაჩინო მაგალითია USAID-ის (შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს) მიერ ქართველი ოსტატებისთვის გაწეული დახმარება გაყიდვების ერთ-ერთ უმსხვილეს პლატფორმაზე – www.etsy.com ანგარიშების შექმნაში.
ასევე არსებობს რამდენიმე ონლაინ პლატფორმა, რომელსაც წვლილი შეაქვს რეწვის ბიზნსის განვითარებაში, როგორიცაა:
ნიდო: პოპულრული ადგილობრივი ონლაინ მაღაზია, სადაც სხვა ნამუშევრებთან ერთად წარმოდგენილია რეწვის ნიმუშები.
თბილისის ეთნოფესტის ონლაინ პლატფორმა. მას წვლილი შეაქვს ონლაინ თვითგანათლების მასალების შექმნაში რეწვის სექტორისთვის. აქ არა მხოლოდ ტარდება ტრენინგები და სემინარები ეთნოფესტის დროს, არამედ ასევე გროვდება ციფრული კონტენტი, რომელიც იქმნება GACC-ის სხვა საქმიანობების ფარგლებში.
Info.ge გაიცანი ქართული . ეს სოციალური მედია (Facebook) ჯგუფი დაარსდა პანდემიის დროს, როდესაც ბევრმა ადამიანმა დაკარგა შემოსავლის ყველა წყარო. მიზანი იყო იმ ადამიანების დახმარება, ვისაც აქვთ რეწვის გარკვეული უნარები, რათა ჰქონდეთ თავიანთი

პროდუქციის პოტენციური მომხმარებლისთვის პირდაპირი რეკლამირების საშულება. დღეისათვის ეს ჯგუფი 62715 წევრს აერთიანებს.

შემოქმედებითი ინდუსტრიების პლატფორმა. ეს არის კიდევ ერთი Facebook ჯგუფი, რომელიც შექმნილია არსებული პრობლემების და გამოწვევების გაზიარებისა და გადაჭრის გზების ერთობლივი მიზნით. ამასთანავე, მისი საქმიანობაა სხვადასხვა დაინტერესებული წრეებისთვის თანამშრომლობის საშუალებების შექმნა და ინფორმაციის გავრცელება კრეატიული ინდუსტრიებისა და მომავალი პროგრამების, პროექტების, ტრენინგების, გრანტების შესაძლებლობების შესახებ და სხვა შესაბამისი ახალი ინფორმაციის გავრცელება.

2. არსებული მხარდაჭერა

2.1. მხარდამჭერი ორგანიზაციები

ციფრული საშუალებების უზრუნველყოფა უფროსი ასაკის ოსტატებისთვის

საქართველოში რეწვის საორგანიზაციო სტრუქტურა ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია. ამჟამად რეწვის სექტორი არასაკმარისადაა წარმოდგენილი სახელმწიფო სტრუქტურებში: არ არსებობს დეპარტამენტი, სააგენტო ან დანაყოფი (ევროპის ქვეყნების რეწვის საბჭოების მსგავსად), რომელიც მუშაობს მხოლოდ ამ სექტორისთვის და პასუხისმგებელია მის განვითარებაზე.

კულტურის სამინისტრო ერთადერთი სახელმწიფო სტრუქტურაა, რომელიც განსაზღვრავს პოლიტიკას რეწვის სექტორში. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ICH-ის (არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა) დეპარტამენტი მოიცავს არამატერიალური მემკვიდრეობის ფართო სპექტრს. მისი ძირითადი ამოცანაა უფრო სექტორის მიზნების დაცვა, ვიდრე სექტორის ეკონომიკური განვითარება.

სხვადასხვა საჯარო სექტორები, როგორიცაა აწარმოე საქართველოში; შემოქმედებითი საქართველო, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების კულტურის განყოფილებები, რეწვას ნაწილობრივ ითვალისწინებენ თავიანთ დღის წესრიგში.

არასახელმწიფო სექტორში მნიშვნელოვანი ორგანიზაციებია:

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი (GACC). მოცემული ორგანიზაცია, რომელიც დაარსდა 1995 წელს, აქტიურ როლს ასრულებს საქართველოში რეწვის სექტორის განვითარებაში. ის უზრუნველყოფს სწავლებებს, ტრენინგებს რეწვის ოსტატებისთვის, მცირე საგრანტო სქემებს, კონკურსებს და სხვ. GACC ასვე ხელს უწყობს საქართველოს რეწვის სექტორში ინსტიტუციონალური სტრუქტურის შემუშავებას, ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრების განვითარებასა და სექტორის ინტერნაციონალიზაციას.

საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია (GHCA). ეს არის წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაცია, რომელიც ზრუნავს ქართული რეწვის ტრადიციების და ნამუშევრების დაცვაზე და მისი მიზანია მდგრადი სტრუქტურის შექმნა სექტორის შემდგომი განვითარებისათვის. ასოციაციის მიზანია არსებული გამოწვევების დაძლევა საქმიანი

კონტაქტების პლატფორმის შექმნით ადამიანებისთვის, რეწვის ოსტატებისთვის, ორგანიზაციებისა და საამქროებისთვის.
ასევე, თიხის ოფისი, საფეიქრო ჯგუფი, მხატვართა კავშირი და სხვ. ბოლო დროს შეიქმნა ახალი ორგანიზაციები, როგორიცაა რეწვის პოპულარიზაციისა და განათლების საერთაშორისო ასოციაცია, რომელიც ძირითადად ფოკუსირებულია ხელსაქმეზე, გაჩნდა მქარგველების ასოციაცია, ქართული ავეჯის კლასტერი და ასევე, რეწვის რიგი არაოფიციალური ქსელები.
საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი. ეს არის საქართველოს სოციალურ საწარმოთა ალიანსი, რომელშიც რეწვის ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. სხვა სფეროების გარდა, ის ასევე უზრუნველყოფს რეწვის სექტორის სპეციალურ მიზანმიმართულ მხარდაჭერას.

2.2. დაფინანსების პროგრამები

GACC და GHCA არიან ძირითადი ორგანიზაციები, რომლებიც ხელს უწყობენ ოსტატებს არსებული დაფინანსების შესაძლებლობების იდენტიფიკაციას.
არსებობს რამდენიმე სხვა სააგენტო/დონორი, რომელიც უზრუნველყოფს დაფინანსების სხვადასხვა შესაძლებლობას მწარმოებლების უფრო ფართო ქსელისთვის, მათ შორის, რეწვის სექტორისთვის, როგორიცაა:

შემოქმედებითი საქართველო. საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირი და მისი მიზანია დაფინანსების შესაძლებლობების შექმნა და ინფორმაციის გავრცელება არსებული დაფინანსების საშუალებების შესახებ; შემოქმედებითი მეწარმეების პოტენციალის შექმნა ტრენინგის პროგრამების, სემინარებისა და სხვა აქტივობების საშუალებით; შემოქმედებითი ინდუსტრიების შესახებ ცოდნის დონის ამაღლება; პროფესიული კონტაქტების პლატფორმების შექმნა; არსებული შემოქმედებითი ნამუშევრობის ექსპორტის ხელშეწყობა და ზოგადად, სექტორის ინტერნაციონალიზაცია.

მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამა. პროგრამის მიზანია მიკრო და მცირე მეწარმეობისთვის ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა. მიღებული გრანტების მეშვეობით, ბენეფიციარებს შეუძლიათ საკუთარი საწარმოების გაფართოება და ახალი საწარმოების შექმნა. ჩვეულებრივ, რეწვის ოსტატებს აქვთ ასეთი ხელშეწყობის მიღების საშუალება.

ამავდროულად, არსებობს დიდი რაოდენობით ონლაინ რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფენ ინფორმაციას საგრანტო შესაძლებლობების თაობაზე. ძირითადად, ასეთებია:

Projects Georgia. ეს არის ონლაინ პლატფორმა, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციას ნებისმიერი ტიპის მიმდინარე პროექტების, გრანტების, კონკურსების და საქართველოში არსებული სხვა პროექტების შესახებ.

CSOGEORGIA. ეს არის ვებ-პორტალი, რომელიც შექმნილია ინფორმაციის გაცვლის, კომუნიკაციის გაუმჯობესებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს (CSO) შორის რესურსების გაზიარების მიზნით. მოცემული ვირტუალური სივრცე საზოგადოების, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს და ნებისმიერ დაინტერესებულ პირებს საშუალებას აძლევს, მარტივად მიიღონ ინფორმაცია სამოქალაქო სექტორის ორგანიზაციების და მათი აქტივობების შესახებ, რაც მინიმალურ ენერგიას და დროს საჭიროებს.

USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამა, რომლის პრიორიტეტულ მიმართულებებს შორის არის რეწვა. მისი ბოლოდროინდელი მოწოდების - საწარმოების პროდუქტიულობის, საწარმოო შესაძლებლობების და პროდუქციის ხარისხის ამაღლება - თანახმად, დაფინანსების 3 სამიზნე სფეროდან ერთ-ერთია რეწვის ბიზნეს საქმიანობა, როგორიცაა საიუველირო დიზაინი, ხეზე კვეთა, ქვის წყობა, მხატვრობა და კერამიკა.

2.3. დიგიტალიზაციის და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამები

არ არსებობს სპეციალურ ეროვნული პროგრამები, რომლებიც ხელს უწყობს უფროსი ასაკის ოსტატების დიგიტალიზაციას ან კვალიფიკაციის ამაღლებას. ჩვეულებრივ, ასეთი სახის ტრენინგს, რომელიც მიმართულია რეწვის ოსტატებზე, უზრუნველყოფენ ზემოხსენებული ორგანიზაციები, როგორიცაა GACC, GHCA და ეთნოფესტი. ისინი ასევე უზრუნველყოფენ სხვა სახის ხელშემწყობ მომსახურებას, როგორიცაა კონსულტაცია და პროფესიული კონტაქტების ქსელის და ცოდნის გაცვლის შესაძლებლობები, რომლებსაც უფრო მეტად სთავაზობენ სპეციფიკური პროექტების სახით და არა რეგულარულად.

მეორე მხრივ, ტექპარკები და ფაბლაბები სთავაზობენ ტრენინგს უფრო ფართო აუდიტორიას, რომლითაც ასევე შეუძლიათ ისარგებლონ რეწვის ოსტატებმა.

ტექნოპარკები და ინოვაციური ცენტრები. ისინი უზრუნველყოფენ დახმარებას ციფრული ტექნოლოგიების სფეროში მოქმედი პირების უფრო ფართო წრისათვის. Techpark არის ფიზიკური სივრცე, რომელიც აერთიანებს ტექნოლოგიურ, საგანმანათლებლო და პროფესიულ რესურსებს და მიზნად ისახავს საქართველოში ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარებას. ტექპარკები თავიანთი ინფრასტრუქტურის საშუალებით, ხელს უწყობენ მაღალტექნოლოგიური ბიზნესების დამკვიდრებას და განვითარებას, რომლებიც კონკურენტუნარიანია როგორც ადგილობრივ, ასევე გლობალურ ბაზრებზე. ისინი მოიცავს ინკუბატორებს, სატრენინგო ცენტრებს და ლაბორატორიებს, ასევე ოფისებს, საერთო სამუშაო და რეკრეაციულ სივრცეებს. ამასთანავე, ტექპარკები უზრუნველყოფენ წვდომას სატრენინგო ცენტრებსა და სადემონსტრაციო დარბაზებზე. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გახსნილია რამდენიმე ტექპარკი და მრავალი ოსტატი მუშაობისას იყენებს მათ მაღალ ტექნოლოგიებს.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, უშუალოდ რეწვის ოსტატებისთვის გათვალისწინებული ასეთი სახის მომსახურება საკმაოდ სპორადიულია, უზრუნველყოფილია არასამთავრობო სექტორის მიერ და პროექტების ფარგლებში. მეორე მხრივ, ტექპარკები და ფაბლაბები, რომლებიც შედარებით უფრო რეგულარული მხარდაჭერით სარგებლობენ, კონცენტრირებულია უფრო ფართო აუდიტორიაზე და რეწვის ოსტატებს უხდებათ კონკურენცია სხვა პირებთან.

3. რეგულაციები და კანონმდებლობა

3.1. კანონმდებლობა

თავდაპირველად, მნიშვნელოვანია საკანონმდებლო დონეზე განისაზღვროს, თუ რა იგულისხმება „ტრადიციულ რეწვის ოსტატობაში“ და „კულტურულ ინდუსტრიაში“, როგორ ხდება ამის სამართლებრივი განმარტება, დაცვა, რეგულირება და ხელშეწყობა. ჯერჯერობით საქართველოს სამართლებრივ ორგანოში კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე ორიენტირებული ძირითადი სამართლებრივი აქტი არის „საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“: მოცემულ კანონში ზემოხსენებული დეფინიციებიდან არც ერთი არ არის მითითებული. ასევე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რეგულაციებს, რომლებიც დაკავშირებულია *„არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობასთან, რაც სამართლებრივად განისაზღვრება, როგორც: „ზეპირსიტყვიერების ტრადიციები და გამოხატვის ფორმები, ენის, როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მატარებლის, ჩათვლით, საშემსრულებლო ხელოვნება, ადათ-წესები და წეს-ჩვეულებები, ხელოვნების და ხელოსნობის ტრადიციულ დარგებთან დაკავშირებული ცოდნა და ჩვევები, ასევე მათთან დაკავშირებული ინსტრუმენტები, ობიექტები, არტეფაქტები და კულტურული სივრცე, რომლებიც აღიარებულია საზოგადოების, ჯგუფების და ინდივიდების მიერ, როგორც მათი კულტურული მემკვიდრეობის ნაწილი“*. კანონში განმარტებულია, რომ საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტრო არის სახელმწიფო ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის იდენტიფიკაციაზე, დოკუმენტირებაზე (აუდიო, ვიდეო, წერილობითი), შენარჩუნებასა და დაცვაზე. კანონში ასევე მითითებულია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ჩამონათვალი და რეესტრი. მიუხედავად ამისა, *„საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“* არ არის ადაპტირებული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სპეციფიკაზე და მოცემული სფერო არასათანადოდ რეგულირდება მისი დებულებებით.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მინიჭება და რეგისტრაციის პროცედურები განისაზღვრება *საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2012 წლის 24 იანვრის ბრძანებით #3/28 „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სიისა და რეესტრის ფორმის დამტკიცების შესახებ“.*

„საქართველოს კანონში მეწარმეთა შესახებ“ ნათქვამია, რომ ნებისმიერი სამეწარმეო საქმიანობა უნდა იყოს რეგისტრირებული სათანადო პროცედურის დაცვით და ამდენად, არეგულირებს რეწვის ეკონომიკურ საქმიანობას.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი არეგულირებს ეკონომიკური საქმიანობის სამართლებრივ ფორმებს და არ უზრუნველყოს სხვადასხვა წესებს ტრადიციული რეწვისთვის. იურიდიული პირების სამართლებრივი ფორმები შეიძლება იყოს: შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია – შპს, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება – სპს,

კომანდიტური საზოგადოება – კს; კოოპერატივი. ფიზიკური პირების შემთხვევაში, ისინი შეიძლება დარეგისტრირდნენ, როგორც: ინდივიდუალური ფიზიკური პირები და გადასახადის გადამხდელი იურიდიული პირები.

რეწვის სექტორთან დაკავშირებული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი არის „საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“: საავტორო უფლებები, კოლექტიური და ინდივიდუალური სავაჭრო ნიშნები, გეოგრაფიული აღნიშვნები, დიზაინის რეგისტრაცია რეწვის პროდუქციასთან მჭიდროდ დაკავშირებული სფეროებია.

3.2. პოლიტიკა

ამჟამად ეროვნული პოლიტიკა არ მოიცავს რაიმე სპეციალურ ზომებს უფროსი ასაკის ოსტატების გამოცდილებისა და ღვაწლის დაფასებასთან დაკავშირებით. საქართველოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონპროექტი ითვალისწინებს ტიტულის „ცოცხალი საგანძური“ შექმნას, რომელიც უმეტესწილად ასოცირებული იქნება უფროსი ასაკის ოსტატებთან, თუმცა ეს კანონი ჯერ არ არის მიღებული. სხვა მექანიზმები შეიძლება იყოს კონკურსი “წლის საუკეთესო ოსტატი”, რომელსაც 2015 წლიდან ატარებს GHCA კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან თანამშრომლობაში, რომელიც ხელს უწყობს სექტორის სხვადასხვა ასპექტში მიღწევების აღიარებას და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას. ნომინაციები იცვლება წლიდან წლამდე. მაგალითად, „საუკეთესო მასწავლებელ-ოსტატი“, „საუკეთესო ახალგაზრდა ოსტატები“, „ყველაზე ინტერაქტიური სემინარი“ და სხვ. რეწვის სფეროში შეტანილი წვლილის მოცემული სპეციალური ნომინაციის შექმნამ შეიძლება დადებითი როლი ითამაშოს უფროსი ასაკის ოსტატების აღიარების საქმეში.

3.3. სამართლებრივი გამოწვევები (ინტერვიუები)

საქართველო ერთ-ერთია იმ მრავალ ქვეყანას შორის, რომელსაც გააჩნია რეწვის სექტორის აღიარების პრობლემები, ვინაიდან ეს არ არის ბოლომდე გათვალისწინებული ქვეყნის სამართლებრივ სტრუქტურაში. ამის შედეგად, არ არსებობს სპეციალური რეგულაცია რეწვასთან დაკავშირებით. ეს პრობლემა ნაწილობრივ აიხსნება იმით, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ მოიცავს რეწვისა და მისი სპექტრის ზუსტ განსაზღვრებას. კულტურის შესახებ საქართველოს კანონში „ხალხური რეწვა და ხელობა“ და „მხატვრული სუვენირი“ მიეკუთვნება “კულტურულ სფეროს”, ხოლო თვით რეწვის სექტორი განსაზღვრული არ არის და ასევე არასათანადოდ წარმოდგენილია მისი დამახასიათებელი თვისებები და სხვა თავისებურებები.

შესაბამისად, ვინაიდან რეწვის ცალკეული დარგის სახით იდენტიფიცირება და მისთვის სპეციალური სამიზნე დახმარების გათვალისწინება შეუძლებელია, ის გათვალისწინებულია ზოგადად სამეწარმეო კანონმდებლობაში. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს რამდენიმე სახის დახმარებას მცირე და მიკრო

მეწარმეებისათვის, რაც შეიძლება სასარგებლო იყოს რეწვის სფეროს ოსტატებისთვის და შესაბამისად, მათ შეუძლიათ ისარგებლონ საგადასახადო ანგარიშგების საკმაოდ გამარტივებული პროცედურებით. რეწვის ოსტატების ძირითადი პრობლემები დაკავშირებულია რეგულაციების და ანგარიშგების არასაკმარის ცოდნასთან, რაც გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ რეწვა დიდი ხნის განმავლობაში არ იყო აღიარებული შემოსავლის წყაროდ, მას ტრადიციებისა და კულტურის ნაწილად უფრო აღიქვამდნენ, ვიდრე ეკონომიკურ საქმიანობად.

www.madineurope.eu/Craft50plus